ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 599350451

N 383
27/09/2018

383-07-3-201809271616

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 26 სექტემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №15- 2 (ორი) ფურცელი

დასკვნა №15- 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე

კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №15

ქ.ლანჩხუთი 26.09.2018.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: თორნიკე ტიკაძე, ზურაბ კუკულავა, აკაკი იმნაიშვილი, გიორგი ჩახვაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის განყოფილების უფროსი თამაზ იმედაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: ამირან გიგინეიშვილი, იოსებ ჩხაიძე, დავით ჩხარტიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 8 თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/ მომხსენებელი: ა. მახათაძე /

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 8 თვის შესრულების ანგარიში კომისიას გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის განყოფილების უფროსმა თამაზ იმედაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ 2018 წლის შემოსავლების შესრულების გეგმა 8 თვის მდგომარეობით შესრულდა 81,1 %-ით, აქედან საშემოსავლო გადასახადი 91,4 % ქონების გადასახადი 96,1 %, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 107,9 %, ჯარიმები, სანქციები, საურავები 71.9 % ით და ა.შ. წლის ბოლომდე უნდა შემოვიდეს არასასფლო-სამეურნეო მიწის გადასახადიდან 400 ათას ლარამდე და შესამაბისად ბიუჯეტი შესრულდება 100 %-ამდე.

დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა გამოხატა დაინტერესება და დასვა კითხვა - გასულ წლებში, ავტობანის მშენებლობამდე თანხის რა ოდენობას შეადგენდა ქონების გადასახადი და ამ მშენებლობის შემდგომ რამდენი პროცენტით იქნა მიმდინარე წლის ბიუჯეტი გაზრდილი, რაზეც საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციის მოძიება სირთულეს არ წარმოადგენს და ამის შესახებ მას დეტალურ ინფორმაციას უახლოეს მომავალში მიაწვდის.

წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 8 თვის შესრულების ანგარიში კომისიის წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი 26.09.2018 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №15

2018 წლის 26 სექტემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 8 თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 8 თვის შესრულების ანგარიში კომისიის წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26.09.2018 წელი
15:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	14 59	
2	თორნიკე ტიკაძე	14 59	
3	გიორგი ჩახვაძე	14 50	
4	დავით ჩხარტიშვილი	არ ესწრებოდა	
5	ამირან გიგინეიშვილი	არ ესწრებოდა	
6	იოსებ ჩხაიძე	არ ესწრებოდა	
7	აკაკი იმნაიშვილი	14 59	
8	ზურაბ კუკულავა	14 59	